მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვების სასკოლო მზაობის პროგრამის გაფართოებული მხარდაჭერა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში

კონცეფცია

(საპილოტე ვერსია)

World Vision International-ის ფილიალი საქართველოში

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

2019 წელი

ავტორები:

მარიამ მიქიაშვილი, ანა მიქიაშვილი

WV საქართველოს ადრეულ ასაკში ბავშვის განვითარების ტექნიკური პროგრამის კოორდინატორი: ცირა ბარქაია

რედაქტორი

ჭაბუკი ქირია

შინაარსი

სასკოლო მზაობის პროგრამის გაფართოებული მხარდაჭერით უზრუნველყოფის საჭიროება მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვებისთვის 3

გაფართოებული მხარდაჭერის განმარტება, მიზანი და ამოცანები 4

გაფართოებული მხარდაჭერის საჭიროების განსაზღვრა..... 6

გაფართოებული მხარდაჭერის ფორმები და მიმართულებები 7

საგანმანათლებლო გარემოს მორგება მხედველობის დარღვევით განპირობებულ საჭიროებებზე 9

ფიზიკური გარემო 9

დამატებითი მატერიალური რესურსი..... 18

მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვთა სასკოლო მზაობის პროგრამის გაფართოებული მხარდაჭერის პერსონალი..... 22

სპეციალური პედაგოგი..... 23

ფსიქოლოგი 26

ოკუპაციური თერაპევტი 28

სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის სპეციალისტი 29

ოფთალმოლოგი (საჭიროების შემთხვევაში) 30

მეტყველების თერაპევტი (საჭიროების შემთხვევაში) 31

ასისტენტი (საჭიროების შემთხვევაში) 32

აღმზრდელ-პედაგოგის როლი სმენის დარღვევის მქონე ბავშვების აღზრდისა განათლების მხარდაჭერის პროცესში..... 33

წინამდებარე კონცეფცია განსაზღვრავს მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვების გაფართოებულ მხარდაჭერას სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების პროცესში, თუმცა ის არ აწესებს აკრძალვას, რომ გაფართოებული მომსახურების ფარგლებში უზრუნველყოფილი საგანმანათლებლო სიკეთეებით (ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი) ისარგებლოს ყველა ბავშვმა, რომელიც სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურებაშია ჩართული.

სასკოლო მზაობის პროგრამის გაფართოებული მხარდაჭერით უზრუნველყოფის საჭიროება მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვებისთვის

მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვებს საგანმანათლებლო პროცესზე მისაწვდომობის გაზრდის მიზნით ესაჭიროებათ ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული მომსახურება, რომელიც გულისხმობს გაფართოებულ მხარდაჭერას. ფიზიკური გარემოს მოწყობისას გასათვალისწინებელია რიგი პრინციპები, საჭიროებებზე მორგებული დამხმარე რესურსები, ტექნიკური აღჭურვილობა და საგანმანათლებლო-განმავითარებელი რესურსები; საგანმანათლებლო პერსონალი საჭიროებს სპეციალურ მომზადებასა და მეთოდოლოგიურ მხარდაჭერას; კომპენსატორული უნარების განვითარების მიზნით, სპეციფიკური აქტივობების განსახორციელებლად, სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდებისთვის, მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვთან აუცილებელია ინდივიდუალური მუშაობაც. გაფართოებული მხარდაჭერა წარმოადგენს არა ალტერნატივას, არამედ სასკოლო მზაობის პროგრამის მისაწვდომობას ზრდის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში.

მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვები განვითარებისა და განათლების პროცესში მხედველობის მქონე თანატოლებისგან განსხვავებულ დამატებით მხარდაჭერასა და სპეციფიკური პირობებით უზრუნველყოფას საჭიროებენ. მაგალითად, მრავალრიცხოვან ჯგუფურ გარემოში მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვს შესაძლოა გაუჭირდეს მიმდინარე აქტივობებში ეფექტიანად ჩართვა, ინფორმაციის სრულფასოვნად მიღება და საკუთარი შესაძლებლობების სრულად რეალიზება. შესაბამისად, დასჭირდება მრავალრიცხოვან ჯგუფებში სპეციფიკური მხარდაჭერის გაწევა, ისევე როგორც გარკვეული უნარების განსავითარებელი აქტივობების ინდივიდუალურად წარმართვა.

ამ და სხვა ფაქტორების გამო მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვები ისეთი პირობების შექმნას და მხარდაჭერას საჭიროებენ, როგორიცაა: ექსპლიციტურად და მიზანმიმართულად მუშაობა გარკვეული უნარების განვითარებაზე, მაგ., დამოუკიდებელი ცხოვრების უნარები, სივრცითი ორიენტაცია და მობილობა, ცნებების განვითარება, დამხმარე ტექნიკური მოწყობილობების გამოყენება, ადაპტირებული ფიზიკური გარემო, დამხმარე განმავითარებელი მასალა, ნარჩენი მხედველობის ფუნქციურად გამოყენების ხელშეწყობა და სხვა.

სასკოლო მზაობის ჯგუფი წარმოადგენს გარკვეულწილად ტრანზიციის პროცესს, რომლის დროსაც ხდება ბავშვის სოციალური, კულტურული, ემოციური და ზოგადად ინდივიდუალური თავისებურებების ფორმირება და აღნიშნული თავისებურებების გათვალისწინებით ბავშვის სკოლისათვის მომზადება. კვლევებით დასტურდება, რომ სათანადოდ ხელშეწყობილი ტრანზიცია (სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებიდან სკოლაში) ბავშვის შემდგომი საგანმანათლებლო წარმატების განმაპირობებელია. მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვის

სპეციფიკური საჭიროებებიდან გამომდინარე კი მისი ტრანზიციის პროცესი გაფართოებულ მხარდაჭერას მოითხოვს.

აუცილებელია, რომ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ადმინისტრაციასა და პერსონალს, ისევე როგორც მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვების ოჯახს გაანალიზებული ჰქონდეს, ერთი მხრივ, ის გამოწვევები, რომელთა წინაშეც მხედველობის დარღვევის მქონე სკოლამდელი ასაკის ბავშვები დგანან, ხოლო მეორე მხრივ, ის პასუხისმგებლობები და კომპეტენციები, რომლებიც აღნიშნული ჯგუფის ბავშვების მრავალმხრივი განვითარებისა და ჩართულობის უზრუნველსაყოფად არის საჭირო.

გაფართოებული მხარდაჭერის განმარტება, მიზანი და ამოცანები

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვების გაფართოებული მხარდაჭერა ეხება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მე-4 წლის სასკოლო მზაობის პროგრამით მიწოდებულ მომსახურებას და განსაზღვრულია 5 წლის ასაკიდან სკოლის დაწყებითი საფეხურის პირველ კლასში შესვლამდე მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვებისთვის.

გაფართოებული მხარდაჭერა აერთიანებს იმ აუცილებელ პროფესიულ და მატერიალურ რესურსსა და სპეციალურ მეთოდოლოგიურ ხელშეწყობას, რომელიც მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვის მრავალმხრივი განვითარების, საგანმანათლებლო პროცესსა და პროგრამაზე მისაწვდომობის გაზრდისა და სასკოლო მზაობის ფორმირებისთვის არის აუცილებელი.

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვებისთვის განსაზღვრული სასკოლო მზაობის პროგრამის გაფართოებული მხარდაჭერის **მიზანია**, მასში ჩართული თითოეული ბავშვის ინდივიდუალურად მორგებული საგანმანათლებლო და განმავითარებელი პროცესით უზრუნველყოფა, უწყვეტი მხარდაჭერის გაწევა და როგორც მიმდინარე, ასევე სამომავლო ეფექტიანი და წარმატებული ფუნქციონირებისთვის აუცილებელი კომპეტენციებით აღჭურვა.

სასკოლო მზაობის გაფართოებული მხარდაჭერის ამოცანებია:

ა) ხელი შეუწყოს მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვის მრავალმხრივ (შემეცნებით, ემოციურ, ფიზიკურ და სოციალურ) განვითარებას, დადებითი თვითიდენტობისა და ღირსების გრძნობის ჩამოყალიბებას და საკუთარი პოტენციალის მაქსიმალურად რეალიზებას;

ბ) უზრუნველყოს მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვი ინდივიდუალურად მორგებული საგანმანათლებლო პროცესით და გაფართოებული მხარდაჭერით;

გ) უზრუნველყოს მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვი განვითარებისა და განათლებისთვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, მორგებული ფიზიკური გარემოთი, გაფართოებული საგანმანათლებლო-განმავითარებელი პროგრამით;

დ) ხელი შეუწყოს ბავშვსა და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების თემის სხვა წევრებს შორის ეფექტური კომუნიკაციისა და ინტერაქციის ფორმირებას;

ე) ხელი შეუწყოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების პერსონალის პროფესიულ გაძლიერებას მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვების განათლებისა და განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით და უზრუნველყოს ისინი საკონსულტაციო-საგანმანათლებლო მომსახურებით;

ვ) გაუწიოს მშობლებს საკონსულტაციო-საგანმანათლებლო მომსახურება და ხელი შეუწყოს მშობლების/ოჯახების გაძლიერებას, მათი ინფორმირებულობის გაზრდას, აღჭურვოს მშობლები საკუთარი შვილების განვითარებისა და განათლების ხელშემწყობი სტრატეგიებით და კომპეტენციებით; მხარი დაუჭიროს ასევე მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვის მშობლებსა და მზრუნველებს ბავშვის საჭიროებების სათანადოდ დანახვაში და ხელი შეუწყოს მათ კომუნიკაციას თანატოლების მშობლებთან.

ზ) უზრუნველყოს მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვების ეფექტიანი ტრანზიცია როგორც სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში (მაგ., ადრეული ინტერვენციის მომსახურებიდან) და დაწესებულებებს შორის (ასეთის საჭიროების შემთხვევაში), ასევე შემდგომ - სასკოლო განათლებაში.

თ) ხელი შეუწყოს ბავშვის მომზადებას ფორმალური ზოგადი განათლებისთვის და იმ ცოდნით, უნარებითა და დამოკიდებულებებით აღჭურვას, რომლებიც მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვის ეფექტიანი და წარმატებული ფუნქციონირების საფუძველია სკოლაში.

გაფართოებული მხარდაჭერის ფარგლებში მობილიზებული მატერიალური და ადამიანური რესურსი და გამოყენებული მეთოდოლოგია, მაქსიმალურად მისაწვდომი უნდა იყოს მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვებისთვის ყველა იმ სიტუაციასა და ვითარებაში, რომელშიც ის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში მონაწილეობს და რომელიც შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფისთვის არის განსაზღვრული.

გაფართოებული მხარდაჭერა გულისხმობს არა მხოლოდ ბავშვთან მუშაობას, არამედ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების პერსონალის, ასევე მშობლების / მზრუნველების კონსულტირებასაც.

გაფართოებული მხარდაჭერის ფარგლებში ჯგუფურ და ინდივიდუალურ აქტივობებში ჩართულობის გრაფიკი მუშავდება ცალკეული ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებებისა და შესაძლებლობების მიხედვით და მშობლის პრიორიტეტების გათვალისწინებით.

აღნიშნული ხელშეწყობა მოიცავს მხედველობის დარღვევის შემთხვევაში სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის საჭირო კომპენსატორული, ფუნქციური, სოციალური, წინარეაკადემიური და სხვა უნარების განვითარებას, რათა ბავშვი მაქსიმალურად მოემზადოს სკოლის განათლების დაწყებითი საფეხურის პირველი კლასისთვის.

გაფართოებული მხარდაჭერის საჭიროების განსაზღვრა

სასკოლო მზაობის პროგრამის გაფართოებული მხარდაჭერა განსაზღვრულია 5 წლის ასაკიდან სკოლის დაწებითი საფეხურის პირველ კლასში შესვლამდე ბავშვებისთვის, რომელთაც მხედველობის სხვადასხვა ტიპის დარღვევა (უსინათლობა, მცირემხედველობა) აქვთ, რაც დასტურდება შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაციით (ჯანმრთელობის ცნობა, ფორმა N100), რომელშიც აღნიშნულია ბავშვის მხედველობის დარღვევის შესახებ).

მიუხედავად იმისა, რომ გაფართოებული მხარდაჭერა ეხმიანება ბავშვის მხედველობის დარღვევით განპირობებულ მრავალმხრივ საჭიროებებს, მის ფარგლებში გაწეული მხარდაჭერა ცალკეული ბავშვის სწორედ ამ ინდივიდუალური საჭიროებებითა და შესაძლებლობებით უნდა განისაზღვროს. სპეციალისტების გუნდის მიერ უნდა შეფასდეს ცალკეული ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებები და შესაძლებლობები განვითარების სფეროების მიხედვით, განისაზღვროს და მის პორტფოლიოში აისახოს ინდივიდუალური მხარდაჭერის ფორმები, ოდენობა, მიწოდების ინდივიდუალური განრიგი და ამასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია.

შენიშვნა: *თუ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში მხედველობის დარღვევის მქონე 5 წლამდე ასაკის ბავშვი/ბავშვებიც არიან, ინდივიდუალურ ფორმატსა და გაფართოებული მხარდაჭერის ფარგლებში მობილიზებული პროფესიული რესურსით და მომსახურებით სარგებლობა მათთვისაც უნდა იყოს მისაწვდომი. ამასთანავე, აღნიშნული ჯგუფის ბავშვებთან მიმართებით გაფართოებული მხარდაჭერის სპეციალისტებმა საჭიროებისამებრ შეიძლება გაწიონ საკონსულტაციო-საგანმანათლებლო მომსახურება.*

მხედველობის დარღვევის შესახებ ინფორმაციისა და დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ დაწესებულების ადმინისტრაცია გახდება ინფორმირებული ბავშვის საჭიროებებთან დაკავშირებით და უზრუნველყოფს გაფართოებულ მხარდაჭერას. გარდა აღნიშნული შემთხვევისა, თუ ბავშვის

ჯანმრთელობის ცნობაში არ ფიქსირდება მსგავსი მდგომარეობა, გაფართოებული მხარდაჭერის გაწევა შესაძლოა განისაზღვროს სასკოლო მზაობის პროგრამაში ჩართული აღმზრდელ-პედაგოგის ადმინისტრაციისადმი მიმართვის საფუძველზე. ამგვარი მიმართვისას აღმზრდელ-პედაგოგი უნდა დაემყაროს საკუთარ დაკვირვებას, რის შედეგადაც საგანმანათლებლო პროცესში უნდა ჩართოს დაწესებულების სპეციალური პედაგოგი და/ან ფსიქოლოგი, რომლებიც ბავშვის საჭიროებების შეფასების საფუძველზე, განსაზღვრავენ გაფართოებული მხარდაჭერის მიწოდების ფორმებსა და მიმართულებებს.

მნიშვნელოვანია, რომ მომსახურებაში ჩართულ მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვებსა და მათ მშობლებს მიეწოდოთ ინფორმაცია და წარიმართოს აქტიური კამპანია იმისათვის, რომ ყველა ბავშვმა შესაბამისი ასაკის შესრულებისთანავე სწავლა გააგრძელოს სკოლის დაწყებითი საფეხურის პირველ კლასში.

გაფართოებული მხარდაჭერის ფორმები და მიმართულებები

მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვებისთვის გაფართოებული მხარდაჭერის ფორმებია:

ა) გაფართოებული მხარდაჭერა ასაკობრივ ჯგუფებში - აღნიშნული მხარდაჭერა ხორციელდება ასაკობრივ ჯგუფებში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესის/აქტივობების დროს და მოიცავს სპეციალური პედაგოგის, ფსიქოლოგის, ოკუპაციური თერაპევტის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, საჭიროების შემთხვევაში, ასისტენტის და/ან ოფთალმოლოგის მხარდაჭერას, სასკოლო მზაობის პროგრამის მორგებას და სხვა. გაფართოებული მხარდაჭერის ის სპეციალისტი, რომელიც ჯგუფურ აქტივობაში უნდა ჩაერთოს, წინასწარ უნდა იყოს ინფორმირებული ასაკობრივ ჯგუფებში დაგეგმილი თემისა და აქტივობების შესახებ.

ბ) კომპენსატორული უნარების განვითარება ინდივიდუალურ ფორმატში - აღნიშნული გაფართოებული მხარდაჭერა სპეციალისტების მიერ ხორციელდება ისეთი უნარების განვითარების მიზნით, როგორიცაა: ცნებების განვითარება, დამოუკიდებელი ცხოვრება, სივრცითი ორიენტაცია და მობილობა, ნარჩენი მხედველობის გამოყენება და სხვა. რომელთა ხელშეწყობაც ჯგუფურ ფორმატში ნაკლებად ეფექტურია ან/და დამატებით, გაძლიერებულ ინდივიდუალურ მუშაობას მოითხოვს დამხმარე სივრცეში (ინტეგრირებულ ოთახში).

ინდივიდუალური მომსახურების შინაარსობრივი მხარე და საათობრივი დატვირთვა განისაზღვრება კონკრეტული ბავშვის საჭიროებებით. ამასთან, რომელიმე უნარზე ინდივიდუალურად მუშაობა არ გამორიცხავს ამავე უნარის განსავითარებელი აქტივობების განხორციელებას ასაკობრივ ჯგუფთან ერთად.

გ) პერსონალისა და მშობლების გაძლიერება გულისხმობს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების პერსონალსა და მშობლებთან ინდივიდუალურ და ჯგუფურ საკონსულტაციო-საგანმანათლებლო სამუშაოებს.

<u>პერსონალის გაძლიერება</u> მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: კომუნიკაცია და სწავლების ხელშემწყობი სტრატეგიები მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვებთან, მხედველობის დარღვევის ფორმები და მასთან დაკავშირებული ასპექტები, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ასპექტები, დამხმარე საშუალებები, გარემოს მორგება და სხვა.

<u>ოჯახების განათლება</u> მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: მხედველობის დარღვევის ფორმები და მასთან დაკავშირებული ასპექტები, დამხმარე საშუალებები, სამყაროს შემეცნება _ კონკრეტული და აბსტრაქტული ცნებების გააზრება, დამოუკიდებელი ცხოვრების უნარების განვითარება, ბავშვის თვითიდენტობის ჩამოყალიბება, ემოციური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა, ქვეყანაში არსებული ხელშეწყობა და მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვების განათლების შესაძლებლობები, ოჯახის როლი სკოლაში ტრანზიციის პროცესში.

მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვის გაფართოებული მხარდაჭერის მიმართულებებია:

1. **სივრცითი ორიენტაცია და მობილობა** - ამ მიმართულების ფარგლებში სპეციალისტები ბავშვთან მუშაობენ როგორც ინდივიდუალურად, ასევე ასაკობრივ ჯგუფში ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: საკუთარი და სხვისი სხეულის აღქმა, სივრცითი მიმართებები, მაგ., ზემოთ/ქვემოთ, წინ/უკან და მისთ., დამოუკიდებლად გადაადგილება დაწესებულების შიგნით და გარეთ და სხვ.
2. **დამოუკიდებელი ცხოვრება** - ხდება ბავშვის საყოფაცხოვრებო უნარების განვითარებაზე მუშაობა, მაგ., ჩაცმა/გახდა, კვება, ტუალეტის უნარ-ჩვევები და მისთ.
3. **კომპენსატორული აკადემიური და წინარეაკადემიური უნარების განვითარება** - ამ მიმართულებით მუშაობისას განსაკუთრებით დიდი როლი აქვს ასაკობრივ ჯგუფში მიმდინარე აქტივობებს, თუმცა აუცილებელია რიგ საკითხებზე ინდივიდუალურადაც მიმდინარეობდეს მუშაობა, მაგ., სამყაროს შემეცნება, ანუ, ცნებების განვითარება, ორგანიზების უნარები, წერისა და კითხვის წინარეუნარები და მისთ.
4. **დამხმარე საშუალებების გამოყენება** - მხედველობის დარღვევის მქონე ბავშებს ადრეული ასაკიდანვე ესაჭიროებათ საშუალება, ისარგებლონ დამხმარე საშუალებებით, როგორიცაა, მაგალითად, ბრაილერი, გამადიდებელი, სხვადასხვა საყოფაცხოვრებო დამხმარე საშუალებები და სხვ. მათი გამოყენების სწავლება კი როგორც ბავშვისთ, ასევე მშობლისთვის/მზრუნველისთვის სწორედ გაფართოებული მხარდაჭერის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა.

5. **ნარჩენი მხედველობის გამოყენება** - ამ მიმართულებით მუშაობა აუცილებელია, რათა ბავშვმა სრულყოფილად შეძლოს საკუთარი მხედველობითი პოტენციალის გამოყენება. ამ პროცესში მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ბავშვის მხედველობის მდგომარეობა, გარემო ფაქტორები (განათება, კონტრასტი, ფერები), მხედველობის დატვირთვის ოპტიმალური ხარისხი და ხანგრძლივობა.
6. **სოციალური ინტერაქცია** - ყურადღების გამახვილება უნდა მოხდეს ბავშვისთვის სოციალურად მისაღები ქცევების ფორმირებაზე და ასევე, მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვის მიერ სხვათა ქცევების მიმართ ადეკვატურ რეაგირებაზე. მნიშვნელოვანია, მუშაობა წარიმართოს ძალადობისგან თავის დაცვის საშუალებების გასაცნობად.
7. **გართობა და დასვენება** - ამ მიმართულებით მუშაობა მნიშვნელოვანია, რათა ბავშვმა სწორად გაიაზროს გართობისა და დასვენების სხვადასხვა საშუალება და შეძლოს საკუთარი ინტერესების გამოკვეთა ამ მიმართულებით.
8. **კარიერა** - ამ ასაკში ძირითადი აქცენტი კარიერის თვალსაზრისით უნდა გაკეთდეს სხვადასხვა პროფესიებზე, ამ პროფესიათა წარმომადგენელი ადამიანების კომპეტენციებსა და იმ აღჭურვილობაზე, რასაც სხვადასხვა პროფესიის ადამიანები იყენებენ სამუშაოს შესრულებისას.
9. **თვითადვოკატირება** - მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვმა უნდა შეძლოს საკუთარი სურვილებისა თუ საჭიროებების სხვებისთვის გაგებინება სოციალურად მისაღები ფორმით. ამასთან, ბავშვს უნდა შეეძლოს არასაჭირო დახმარებაზე უარის თქმა თავაზიანად. ის უნდა ფლობდეს ინფორმაციას საკუთარი მხედველობის მდგომარეობის შესახებ და შეეძლოს მის შესახებ საუბარი.

საგანმანათლებლო გარემოს მორგება მხედველობის დარღვევით განპირობებულ საჭიროებებზე

ფიზიკური გარემო

ფიზიკური გარემო უნდა შეესაბამებოდეს უნივერსალური დიზაინის პრინციპებს, თუმცა, თუ გაფართოებული მხარდაჭერის მომსახურება ხორციელდება უკვე არსებულ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შენობაში და შეუძლებელია უნივერსალური დიზაინის ყველა მახასიათებლის გათვალისწინება, აუცილებელია გონივრული მისადაგების პრინციპების მაქსიმალურად გამოყენება. მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი სპეციფიკური სამუშაოები რესურსის ოთახში ხორციელდება, ბავშვების საჭიროებებზე მორგებული უნდა იყოს არა მხოლოდ ამ ოთახის

ფიზიკური გარემო, არამედ მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვის ჯგუფის ოთახი და, შეძლებისდაგვარად, დაწესებულების მთელი სივრცე დარბაზის, დერეფნების და ეზოს ჩათვლით.

მხედველობის დარღვევები ვარირებს სრული უსინათლობიდან მცირემხედველობის სხვადასხვა ფორმამდე, რაც ნიშნავს, რომ სხვადასხვა ბავშვს განსხვავებული საჭიროებები აქვს. ისეც შეიძლება მოხდეს, რომ რაც ერთი ბავშვისთვის ხელსაყრელია, მეორისთვის ხელისშემშლელი შეიძლება აღმოჩნდეს. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ფიზიკური გარემოს მახასიათებლები, ერთი მხრივ, მაქსიმალურად ახლოს იყოს საერთაშორისო სტანდარტებთან და, მეორე მხრივ, საშუალებას გვაძლევდეს შევიტანოთ ცვლილებები თითოეული ბავშვის საჭიროებების მიხედვით. მაგ., ერთ-ერთი ასეთი ცვალებადი ფაქტორია განათება. შესაძლოა ერთ ბავშვს სჭირდებოდეს სინათლის ძლიერი წყარო, ხოლო მეორეს ჭარბი შუქი თვალს ატკიებდეს ან დანახვაში ხელს უშლიდეს. ამგვარ ინდივიდუალურ საჭიროებებს აფასებენ სპეციალისტები (ოფთალმოლოგი/ოპტომეტრისტი/ორთოპტისტი, ოკუპაციური თერაპევტი, სპეციალური პედაგოგი და სხვა) ბავშვის ფუნქციური მხედველობის შეფასების დროს და შეიმუშავებენ ინდივიდუალურ რეკომენდაციებს გარემოს მორგებასთან დაკავშირებით. ქვემოთ აღწერილია, თუ როგორი უნდა იყოს ფიზიკური გარემოს საბაზისო მახასიათებლები საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, რაც მეტ-ნაკლებად ხელსაყრელ პირობებს ქმნის ყველასთვის, თუმცა ვერ ფარავს ყველა ინდივიდუალურ საჭიროებას.

კიბე

კიბის პირველი და ბოლო საფეხურს კიდეზე უნდა ჰქონდეს 5სმ სიგანის კონტრასტული, კიბის ფერისგან მკაფიოდ განსხვავებული ფერის ზოლი როგორც ზედა, ასევე წინა მხრიდან. ძალიან სასურველია, რომ კიბის უჯრედის დასაწყისში და ბოლოში (შუა ბაქნების გარდა) იყოს კონტრასტული ფერის ტაქტილური ფილები ან კარგად დამაგრებული ხალიჩისებური საფენი, რომლებიც იგრძნობა როგორც ფეხით, ასევე თეთრი ხელჯოხით და იძლევა შეტყობინებას საფეხურების დაწყების შესახებ. თითოეულ საფეხურზე რეკომენდებულია ფეხის დაცურების საწინააღმდეგო ზოლების დატანება (იქნება ეს ზემოდან დაკრული ე.წ. „ანტისლიპის ლენტი“ თუ ფალაზე ამოჭრილი რელიეფური ღარები).

მონიშვნა კეთდება ქლორო-კაუჩუკის შემცველი ყვითელი საღებავით. ზოლი უნდა იყოს მინ. 5 და მაქს. 10 სანტიმეტრი სიგანის.

კიბის მოაჯირი

დაუშვებელია მოაჯირის დაწყება-დასრულება საფეხურებზე ადრე. დაბოლოებები უნდა იყოს მომრგვალებული. მოაჯირის დახრა არ უნდა იწყებოდეს საფეხურებზე გვიან და არ უნდა მთავრდებოდეს თუნდაც ნახევარი საფეხურით ადრე. ასეთი ადგილები საკმაოდ დიდი საფრთხის

შემცველია. სასურველია, რომ კიბის ბაქანზე მოაჯირი არ წყდებოდეს, რათა შემდეგ არ გაძნელდეს მისი პოვნა. მოაჯირი უნდა იყოს ყოველთვის კარგ მდგომარეობაში, როგორც უსაფრთხოების, ასევე სისუფთავის თვალსაზრისით. უსინათლო ბავშვები მხედველებისგან განსხვავებით ხშირად აქტიურად იყენებენ მოაჯირს.

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში მოაჯირი ასრულებს ორ ფუნქციას: საყრდენის და უსაფრთხოების დაცვის. უმოაჯირო კიბე საფრთხეს უქმნის როგორც მცირემხედველებს და უსინათლოებს, ასევე კოორდინაციასთან დაკავშირებული სირთულეების მქონე ბავშვებს. აუცილებელია, რომ მოაჯირი გაკეთდეს იმ შემთხვევაშიც, თუ საფეხურების კიდეს და კედელს შორის თუნდაც პატარა სივრცეა დატოვებული.

სართულებს შორის არსებულ კიბეებს აუცილებელია ჰქონდეს მოაჯირები ორივე მხრიდან, - საფეხურებიდან, როგორც მარჯვენა, ასევე მარცხენა მხარეს. კიბესთან საჭიროა გაკეთდეს ორმხრივი სამდონიანი მოაჯირი (რათა იგი მორგებული იყოს როგორც თანამშრომლების და მშობლების სიმაღლეზე, ასევე სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ბავშვებზე). ზედა დონის სიმაღლე უნდა იყოს დაახლოებით 85/95 სანტიმეტრი იატაკიდან, შუა დონის - 70/75 სანტიმეტრი და ქვედა დონის - 50 სმ. მოაჯირის ფერი მკვეთრად განსხვავებული უნდა იყოს კიბისა და კედლის ფერისაგან. სასურველია, მოაჯირის ისე დამაგრება, რომ იატაკთან ან კედელთან დამაკავშირებელი მილები არ აფერხებდეს ხელის გაცურებას, შეერთების ადგილები იყოს იმდენად კარგად უნდა იყოს დამუშავებული, რომ არ ჰქონდეს ნაწიბურები, რომელზეც შეიძლება ხელის დაშავება.

კარი

კარის ფერი უნდა იყოს კედლისა და ჩარჩოს ფერისგან განსხვავებული. მისი სახელურიც ასევე განსხვავებული უნდა იყოს კარის ფერისგან. სასურველია კარი იყოს ე.წ. ზღურბლის გარეშე. ფერებს შორის განსხვავება არ ნიშნავს ტონებს შორის მცირე განსხვავებას, იგულისხმება მკვეთრი კონტრასტი. თუ კარი არ იქნება განსხვავებული ფერის, შესაძლებელია კარის ირგვლივ გაკეთდეს მინიმუმ 5 სანტიმეტრის სისქის კონტრასტული კანტი.

კარი უნდა იღებოდეს ოთახის შიდა სივრცის მიმართულებით.

კარის დირე წარმოადგენს საფრთხეს როგორც მხედველობის დარღვევის მქონე, ასევე მობილობის შეზღუდვის მქონე ბავშვებისთვის.

დერეფანი

იატაკის და კედლის ფერი მკაფიოდ უნდა განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან. თუ კედელი და იატაკი ერთი ან ოდნავ განსხვავებული ფერისაა, შესაძლებელია მათი გამოყოფა სქელი კონტრასტული ფერის პლინტუსით.

ერთი ფერის კედლებისა და იატაკის შემთხვევაში მცირემხედველ ბავშვს ურთულდება სივრცის ზომების და დაშორებების განსაზღვრა.

სივრცეში განთავსებული ავეჯი ასევე უნდა იყოს გამოკვეთილი და ადვილად შესამჩნევი. არ უნდა იყოს კედლისა და იატაკის ფერი.

კედლებზე არსებულ ყველა გარე კუთხეს უნდა ჰქონდეს კედლის ფერისაგან განსხვავებული 5-10 სანტიმეტრი სიგანის კანტი, რომელიც მკაფიოდ გამოკვეთს კუთხეს.

დერეფნებსა და გასასვლელებში ეცადეთ არ ეწყოს ზედმეტი ნივთები (მაგ.: მცირე ზომის ყვავილის ქოთნები), ისინი მცირემხედველ და უსინათლო ბავშვებს მნიშვნელოვნად ურთულებენ მოძრაობას. თუ ყვავილის ქოთნები დერეფანში აუცილებლად უნდა იდგეს, მაშინ სასურველია, თუ მათ „ზონას“ რამე მიმანიშნებლით მოვნიშნავთ. მაგ., ხელოვნური ბალახის საფენით ან სხვა რამით.

ნებისმიერი მიმანიშნებელი თუ სიმბოლო უნდა იყოს მარტივი, არ უნდა იყოს ვიზუალურად გადატვირთული, რადგან ბევრი დამატებითი დეტალი ართულებს გამოსახულების აღქმას. აუცილებელია დაცული იყოს კონტრასტულობის (ფიგურისა და ფონის ფერის მკვეთრი განსხვავებულობა) პრინციპი. ფიგურისა და ფონის ფერი ისე უნდა იყოს შერჩეული, რომ კომბინაციაში არ ხვდებოდეს ქვემოთ ნაჩვენები ის ფერები, რომლებიც რომელიმე წყვილშია წარმოდგენილი, რადგან როგორც აქ ჩანს, ისინი ერთნაირად აღიქმება გარკვეული დარღვევების შემთხვევაში და მათი გამოყენება არ გამოდგება განსხვავებული ფერის ფიგურა-ფონის შესაქმნელად.



გასასვლელების ნიშნულები

საჭიროა გაკეთდეს მკაფიო ვიზუალური მონიშვნები: „გასასვლელი“, სასურველია თუ დაიკიდება სპეციალური სანათი წარწერით „გასასვლელი“ ან მიმართულების მიმანიშნებელი ისრით. მიუხედავად იმისა, რომ სკოლამდელი ასაკის ბავშვები ჯერ არ კითხულობენ, მით უმეტეს მცირემხედველი ბავშვებისთვის ვიზუალური ნიშნების აქტუალობის საკითხი თითქოს არ დგას,

ძალიან მნიშვნელოვანია მათ პატარა ასაკიდანვე ისწავლონ მსგავსი ნიშნების ცნობა (და არა კითხვა) და ინტუიტური აღქმა.

წარწერები

ბრაილის წარწერა კარზე უნდა განთავსდეს სახელურთან მაქსიმალურად ახლოს. ბრაილის წარწერები ყველა კარზე უნდა განთავსდეს ერთსა და იმავე ადგილას, რათა ბავშვებს ძებნა გაუადვილდეთ. ბრაილის წარწერებისთვისაც იგივე პრინციპი მოქმედებს, რაც ბრტყელი შრიფტით წარწერებისთვის - მათი არსებობა საჭიროა იმისათვის, რომ ბავშვები მიეჩვიონ მათ გარემოში წარწერების არსებობას.

დეტალური ინსტრუქციები ან ვიზუალური ნიშნები, განსაკუთრებით კი წარწერები უსაფრთხოების შესახებ საბავშვო სივრცეში უნდა გაკეთდეს იატაკიდან 100-110 სანტიმეტრისსიმაღლეზე (მოზრდილთათვის სტანდარტი 140-170 სანტიმეტრია).

ასოების ზომა უნდა განისაზღვროს წარწერის შინაარსიდან და ხედვის დისტანციიდან გამომდინარე. შენობის შესასვლელთან გარე წარწერის ასოები უნდა იყოს 9 სმ სიმაღლის, ოთახის ნომრები და კარზე წარწერების ასოები - 3 სმ სიმაღლის, კედელზე გაკრული ინფორმაციის ასოები კი- 1.5 სმ. ნებისმიერი წარწერის დამზადებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს მაღალი კონტრასტულობა და ფონისა და ფერის განსხვავება.

საჭიროა ყველა კარზე ან კედელზე, კარის გვერდით იყოს წარწერა, თუ რისი ოთახია კარს მიღმა. აუცილებელია, რომ წარწერა იყოს როგორც ბრაილის, ასევე გაზრდილი შრიფტით (შრიფტის ზომა: ოთახის ნომერი - 30 მმ, წარწერა მინ. 24 მმ). ბრაილის შრიფტით წარწერა მაგრდება კარის სახელურის გვერდით. წარწერა იდენტურად კეთდება ყველა კარზე (არ შეიძლება სხვადასხვა კარზე წარწერა განთავსდეს სხვადასხვა ადგილზე).

განათება

განათების სწორად შერჩევამ შესაძლოა მნიშვნელოვნად განსხვავებული ცვლილება გამოიწვიოს მცირემხედველი ბავშვის ფუნქციური მხედველობის ხარისხში, რაც იმას ნიშნავს, რომ ბავშვის მხედველობა შესაძლოა ძალიან განსხვავდებოდეს ორი სხვადასხვა განათების პირობებში.

სივრცე უნდა იყოს თანაბრად განათებული და არ უნდა კეთდებოდეს ჩრდილები როგორც შესასვლელსა და დერეფანში, ასევე საგანმანათლებლო სივრცეებში. განათების დონე უნდა შეესაბამებოდეს სივრცის დანიშნულებას, რადგან სხვადასხვა მოქმედებისთვის განსხვავებული განათებაა საკმარისი. მაგ., ის შუქი, რაც სველ წერტილებთანაა საკმარისი, ხშირად არაა საკმარისი კითხვისთვის. დერეფნებსა და დიდ სივრცეებში რეკომენდებულია ფლუორესცენტული, ე.წ. ცივი ნათების მქონე LED ნათურების გამოყენება. სამეცადინო სივრცეში შესაძლოა საჭირო გახდეს დამატებითი სანათების გამოყენება, რადგან ზოგს ლოკალიზებული, ერთ ადგილას მიმართული

სინათლის ნაკადი ესაჭიროება. (სასურველია, რომ ჯგუფებში სამუშაოდ გვქონდეს მაგიდის რამდენიმე პორტატული სანათი ერთ-ერთი რეკომენდებული სანათის მონაცემებია: Flip Classic 13W EC. 230 V / 50 Hz.) კარგი იქნება, თუ სანათებს ექნება შუქის რეგულატორი, განათების რამდენიმე დონე. ასეთი ლოკალიზებული შუქის სანათებს სასურველია ჰქონდეთ არა ფლუორესცენტული, არამედ სრული სპექტრის (ჰალოგენური ან ინკანდესენტური (Incandescent)) ნათება. სხვადასხვა დარღვევის შემთხვევაში, რეკომენდებულია ამ სამიდან კონრეტული ნათების გამოყენება. ამიტომ სასურველია, დაწესებულება აღჭურვილი იყოს განსხვავებული ტიპის რამდენიმე სანათით (ან ისეთი სანათით, რომელსაც ერგება რამდენიმე ტიპის ნათურა), კონკრეტული ბავშვისთვის ოპტიმალური ნათების შერჩევას და მორგებას კი გაფართოებული მხარდაჭერის გუნდის სპეციალისტები მოახდენენ.

თუ სამაგიდო აქტივობების დროს გამოვიყენებთ ლოკალიზებული სინათლის სანათებს, ზედაპირიდან არეკლილი სინათლე სახისკენ არ უნდა იყოს მიმართული. სინათლის წყარო ასევე უნდა ანათებდეს დომინანტური ხელის საპირისპირო მხრიდან და მიმართული უნდა იყოს მხოლოდ დავალებაზე.

აუცილებელია თავიდან ავიცილოთ მეტლახის, კედლების, დაფის და სხვა ზედაპირების პრიალი.. ამისათვის ან არაპრიალა მასალა უნდა გამოვიყენოთ, ან პრიალის შემამცირებელი განათება. მაქსიმალურად უნდა შევამციროთ პირდაპირი კაშკაშა შუქი ნებისმიერი წყაროდან, მაგ., ფანჯრები და ნათურები; ფანჯრიდან შემოსული ჭარბი შუქი შესაძლოა ხელის შემშლელი აღმოჩნდეს ზოგიერთი ბავშვისთვის. აუცილებელია იყოს ფარდა-ჟალუზები, რომლებიც დარეგულირდება საჭიროების მიხედვით და მოერგება ბავშვის მხედველობის თავისებურებებს.

სინათლის წყარო არ უნდა იყოს განთავსებული ისე, რომ აღმზრდელ-პედაგოგის, თუ აღმზრდელის მიმართულებით ყურებისას პირდაპირი სხივი ხვდებოდეს ბავშვის თვალში. თუ აღმზრდელს აქვს წინასწარ განსაზღვრული ადგილი, უნდა შეიცვალოს ან მისი მდებარეობა ან სინათლის წყაროს ადგილი. თუ ასეთი წინასწარ განსაზღვრული ადგილი არ არსებობს, მაშინ შესაძლებელია, რომ მუშაობის დროს ეს ფაქტორი გაითვალისწინონ ზრდასრულებმა და ისე შეარჩიონ საკუთარი პოზიცია.

სენსორული ნათურების შემთხვევაში (როდესაც ნათურა ავტომატურად ინთება მიახლოების დროს), მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნეს ფოტოფობიის მქონე ბავშვების მხედველობის თავისებურებები. ასეთი განათება ხშირად გვხვდება სადარბაზოებში, დერეფნებსა და საპირფარეშოებში. სრულ სიბნელეში ან ძალიან დაბალი განათების სივრცეში შუქი მოულოდნელად და მკვეთრად არ უნდა ინთებოდეს. სინათლის რაოდენობა ანთების შემდეგ ნელ-ნელა უნდა მატულობდეს. თუ სხვა გამოსავალი არაა, მაშინ ბავშვთან მომუშავე პირებმა უნდა გაითვალისწინონ

აღნიშნული გარემოება და ჯერ თავად შევიდნენ ბნელ სივრცეში, აანთონ შუქი და მხოლოდ ამის შემდეგ შეიყვანონ იქ ბავშვი.

შესაძლოა ზოგ ბავშვს დასჭირდეს შუქის ყვითელი ფილტრი. თუ მას არა აქვს ყვითელი ფილტრიანი სათვალე, რეკომენდებულია სპეციალური დაფერილი გამჭვირვალე პლასტიკატის მასალის ფირფიტები საკითხავ თუ დასათვალიერებელ მასალაზე გამოსაყენებლად.

ოთახის ინვენტარი

ოთახში განთავსებული ავეჯი უნდა განსხვავდებოდეს იატაკის ფერისგან. სასურველია მაგიდები არ იყოს თეთრი ან მასთან მიახლოებული ღია ფერი, რათა მერხზე ადვილი შესამჩნევი იყოს თეთრი ფერის ფურცელი და მისი კიდეები. მაგიდის ზედაპირი უნდა იყოს ერთგვაროვანი და ერთი ფერის, რომ ადვილი იყოს პატარა ნივთების შემჩნევა. დასაშვებია განსხვავებული ფერის კანტი ირგვლივ, რათა ბავშვმა ადვილად აღიქვას სამუშაო სივრცის ნაპირი. კარადები და თაროები უმჯობესია იყოს კედლისგან განსხვავებული ფერის. ნებისმიერი ავეჯის ზედაპირი დამზადებული უნდა იყოს ისეთი მასალისგან, რომ არ ირეკლავდეს სინათლის სხივს. აუცილებელია მომრგვალებული კიდეები ან ავეჯის სპეციალური სამაგრებით დარბილებული კუთხეები. კარგი იქნება, რომ ოთახში ავეჯით სხვადასხვა აქტივობისთვის სხვადასხვა კუთხე იყოს მოწყობილი. ასეთ დროს რეკომენდებულია, რომ ფუნქციურად განსხვავებულ სივრცეებში განსხვავებული ფერის ავეჯი იდგეს, - შესაძლებლობის კვალობაზე ფაქტურით ან სხვა ტაქტილური მახასიათებლითაც განსხვავებული. ეს მცირემხედველ ბავშვს გაუადვილებს სივრცეში ორიენტაციას. სივრცე არ უნდა იყოს ზედმეტად აჭრელებული, თუმცა ძალიან მნიშვნელოვანია კონტრასტული ფერების გამოყენება, რომლებიც ვიზუალური მიმანიშნებლების როლს შეასრულებს. ეს არანაირად არ ნიშნავს სივრცის გადატვირთვას და აჭრელებას, რაც კი არ აადვილებს აღქმას, არამედ პირიქით, ართულებს. მაგ., არ არის საჭირო, რომ მაგიდის და სკამის ყველა ფეხი და ხის ყველა ნაჭერი განსხვავებული ფერის ან მოხატული იყოს, თუმცა სასურველია, რომ სხვადასხვაგვარი იყოს სხვადასხვა დანიშნულების ავეჯი, მაგ., სკამის და მაგიდის ფერი განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან, კარადის ფერი განსხვავდებოდეს კედლისგან და ა.შ. ინვენტარი და ავეჯი ისე უნდა იყოს განთავსებული, რომ შესაძლებელი იყოს მათთან ახლოს მისვლა (მაგ., თუ გვაქვს დაფა, პროექტორის კედელი ან სხვა), რადგან ზოგი მცირემხედველი ბავშისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ვიზუალური გამოსახულების დათვალიერება ახლო დისტანციიდან. ოთახში არ უნდა იყოს ისეთი ავეჯი და ინვენტარი, რომელიც ადვილად გადაყირავდება და დაზიანდება ბავშვის მსუბუქი დაჯახებით. ასევე არ უნდა იყოს შუშის ან გამჭვირვალე მასალის ტიხრები შესაბამისი კონტრასტული მონიშვნის გარეშე.

სათამაშოები და სხვა მასალები ისე უნდა იყოს დაწყობილი, რომ, ერთი მხრივ, მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვს შეეძლოს დამოუკიდებლად მიგნება და აღება, მაგრამ ამავდროულად, არ

გადმოცვივდეს (მაგ., მგორავი სათამაშოები უნდა ეწყოს არა თაროზე, არამედ ყუთში). მექანიკური სათამაშოები, რომლებიც დათვალიერების დროს შესაძლოა ახმაურდნენ, უნდა ეწყოს ცალკე, რათა უეცარმა ხმამ (და ვიბრაციამ ან სხვა რამე მოძრაობამ) არ შეაშინოს ბავშვი.

პლინტუსი

პლინტუსის ფერი განსხვავებული უნდა იყოს იატაკისა და კედლის ფერისაგან, რათა სივრცე უკეთ აღქმადი გახდეს. სასურველია, თუ გამოყენებული იქნება მაღალი პლინტუსები (მინ. 6 სმ).

სველი წერტილები

სველი წერტილების სივრცე აუცილებელია იყოს თანაბრად და მკაფიოდ განათებული. იატაკი და კედლებიც ასევე განსხვავებული ფერის უნდა იყოს (თუ ეს ვერ ხერხდება, ერთმანეთისგან გამოიყოს კონტრასტული ფერის კანტით). ხელსაბანიც კედლისგან განსხვავებული ფერის უნდა იყოს. თუ ოთახიც უკვე აშენებულია და ხელსაბანი/უნიტაზი უკვე დამონტაჟებულია, ძირეული ცვლილებები კი ვერ ხერხდება,შესაძლებელია ხელსაბანის უკან გაიკრას კონტრასტული ფერის კაფელი ან სხვა სამშენებლო მასალა, რაც ნაკლებ სირთულესთან იქნება დაკავშირებული. თუ ესეც ვერ ხერხდება, მაშინ აუცილებელია დაიკიდოს გარკვეული სიმბოლური მიმანიშნებლები. სასურველია, უნიტაზის ზონა გამოყოფილი იყოს გარკვეული მანიშნებლით (მაგ., კედელზე ან იატაკზე განსხვავებული ფაქტურა ან მცირე ტაქტილური კანტი, რაც ხელს არ შეუშლის გადაადგილებას, მაგრამ იქნება ინფორმაციის შემცველი ნიშანი.), რაც აღქმადი იქნება არა მხოლოდ მცირემხედველი, არამედ უსინათლო ბავშვისთვისაც.

ღია სათამაშო სივრცის მოწყობა

მნიშვნელოვანია, რომ მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვებისთვის ისევე იყოს სათამაშო სივრცე მისაწვდომი და უსაფრთხო, როგორც მათი თანატოლებისთვის. ამისთვის მხოლოდ რამდენიმე ძირითადი პრინციპის დაცვაა საჭირო: 1. უსაფრთხოების ნორმები; 2. ტაქტილური და აუდიალური მინიშნებები უსინათლო ბავშვებისთვის; 3. ფერების და კონტრასტების გათვალისწინება მცირემხედველებისთვის.

სათამაშო სივრცე წარმოადგენს არა მხოლოდ დასვენებისა და გართობის, არამედ, პირველ რიგში, გამნავითარებელ, მათ შორის მსხვილი მოტორული უნარების, სივრცითი ორიენტაციის და მობილობის განმავითარებელ ადგილს. შესაბამისად, მიზნობრივად უნდა იყოს დაგეგმილი მისი აღჭურვილობა და მოწყობაც. ის მოტორული უნარები, რაც მხედველი ბავშვების შემთხვევაში უფრო მცირე ასაკში ვითარდება და თან ძირითადად ავტომატურად, უსინათლო და მცირემხედველი ბავშვების შემთხვევაში, დამატებით სტიმულირებას და ხელშეწყობას საჭიროებს. მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვის ფიზიკურ განვითარებას ხელს უშლის მოტივაციის ნაკლებობა (რაც

განპირობებულია სასურველი ობიექტის ვერდანახვით), შიში უცნობის მიმართ და ნაკლები თავდაჯერებულობა. ასევე ხელის შემშლელია ის, რომ ძირითადი სათამაშო ადგილები არ არის მორგებული მის საჭიროებებზე. ამ ფაქტორების გათვალისწინებით ძალიან მნიშვნელოვანია, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სათამაშო სივრცის მოწყობისას მაქსიმალურად მივიღოთ მხედველობაში უსინათლო და მცირემხედველი ბავშვების განვითარების თავისებურებები.

იმისათვის, რომ სათამაშო სივრცეში მაქსიმალურად ეფექტურად მოხდეს განვითარების ხელშეწყობა, რეკომენდებულია:

- ✓ მარტივი სტრუქტურა, რომ ბავშვმა შეძლოს სხვადასხვა სივრცეს შორის ორიენტირება;
- ✓ რბილი საფარი;
- ✓ მკვეთრი ფერის მონიშვნები სივრცის ნაპირებთან (რათა მცირემხედველმა ბავშვმა შეძლოს საზღვრების აღქმა);
- ✓ ტაქტილური მიმანიშნებლები ფილებით ან სხვა ტაქტილური მასალით, რაც ასევე ამცნობს უსინათლო ბავშვს სივრცის საზღვრების შესახებ;
- ✓ ბალანსის დაფები (ე.წ. რეზონანსული დაფები);
- ✓ სხვადასხვა ტიპის საქანელა და სარწეველა (რომლებშიც შესაძლებელი იქნება სხეულის სხვადასხვა პოზის მიღება: ჩაწოლა, ჩაჯდომა, წამოჯდომა, დადგომა და სხვა);
- ✓ საცოცი ბადე ან გორაკი;
- ✓ გვირაბი, რომელში გაძრომაც მოხერხდება და გარედან დათვალიერებაც (არც ისეგრძელი, რათა შიგნით შესულ ბავშვს არ შეეშინდეს);
- ✓ გაჭიმული ორმხრივი თოკი ბავშვის იდაყვის სიმაღლეზე, რომელსაც ის ორივე ხელს მოკიდებს და გაიქცევა ერთი ბოლოდან მეორისკენ;
- ✓ ქვიშის სივრცე;
- ✓ სივრცეში განთავსებულ სათამაშო მოწყობილებებს უნდა ჰქონდეს მკვეთრი ფერი, რითიც გაადვილდება მათი შემჩნევა და ცნობა (რაც ამ შემთხვევაშც არ გულისხმობს ზედმეტ სიჭრელეს).
- ✓ ბადეები და კალათები (მაგ., კალათბურთის) სასურველია იყოს მკვეთრი ფერის, მაგ ნეონის ფერებში შეღებილი;
- ✓ ფერებს შეიძლება ჰქონდეს სიმბოლური დატვირთვაც, მაგ., სასრიალოს ტიპის სათამაშოები - ერთი, საცოცი - მეორე და, ვთქვათ, ქვიშის - მესამე ფერის;
- ✓ კიბის ან თუნდაც ერთი საფეხურის წინ უნდა გაკეთდეს როგორც ტაქტილური, ასევე ვიზუალური მონიშვნა ფილის ან სხვა ტიპის საგების სახით;

- ✓ ბავშვის თავის სიმაღლეზე არ უნდა ეკიდოს ან არ უნდა იყოს გამოწეული ნებისმიერი რამ, თუნდაც კედელთან და ღობესთან ახლოს, რადგან უსინათლო ბავშვები ხელჯოხის გამოყენებისას ხშირად მიყვებიან ასეთ „ხაზებს“ და მხედველი ბავშვებისგან განსხვავებით ნაკლებად დადიან შუა სავალ ნაწილზე.
- ✓ სასურველია ეზოში იყოს მცირე ზომის სიმულაციური ვაგონი ან ავტობუსი, რომელშიც ბავშვებს შეეძლებათ შესვლა და დათვალიერება როგორც შიგნიდან, ასევე გარედან.
- ✓ რამდენიმე ტიპის სასრიალო, რომლის გარედან დათვალიერებაც ასევე შესაძლებელი იქნება;
- ✓ როგორც წრიული, ასევე ოთხკუთხედი შემოსავლელი სივრცე (შესაძლოა ჰქონდეს დეკორატიული ან ფუნქციური დატვირთვა, მთავარია ბავშვმა შეძლოს შემოვლა მუდმივი შეხებით);
- ✓ სასურველია, თუ სივრცეები ისე იქნება ერთმანეთისგან გამოყოფილი, რომ ბავშვი მკაფიოდ აღიქვამდეს, თუ რომელ სივრცეში იმყოფება თვითონ და რომელი სივრციდან ისმის სხვა ბავშვების ხმა;
- ✓ სიმულაციური ან ნამდვილი ხე, რომელზე აცოცებაც ადვილად იქნება შესაძლებელი;
- ✓ სასურველია პატარა შადრევანი, რომელსაც ექნება ჩუხჩუხის ხმა, ეს ძალიან დაეხმარება ბავშვს სივრცით ორიენტაციაში. ასევე იქნება შესაძლებელი ბევრი განმავითარებელი აქტივობის განხორციელება სპეციალისტების მიერ;
- ✓ სასურველია ეზოში იყოს სხვადასხვა ტიპის არაალერგიული მცენარეები, რომლებთანაც ახლოს მისვლა და დათვალიერებაც იქნება შესაძლებელი.

დამატებითი მატერიალური რესურსი

ინვენტარი, ტექნიკური აღჭურვილობა, სამუშაო მასალები და დიდაქტიკური რესურსები

უსინათლო და მცირემხედველი ბავშვების განვითარების ხელშეწყობისთვის გამოსადეგია უამრავი რესურსი, რაც ისედაც გამოიყენება ჯგუფებში მუშაობის დროს, თუმცა ასევე საჭიროა დამატებითი სპეციფიკური მასალები და რესურსები, რაც კონკრეტულად კომპენსატორული უნარების განვითარებაზეა მიმართული. ქვემოთ ჩამოთვლილი მასალები არ ამოწურავს ყველა საჭირო რესურსს, თუმცა მოიცავს ძირითად ნაწილს. რა თქმა უნდა, ბევრი მათგანი გამოიყენება რამდენიმე სფეროს განვითარებისთვის, თუმცა აქ მაინც დაჯგუფებულია გარკვეული წესით, რათა უფრო უკეთ აღქმადი იყოს. აღნიშნული რესურსების ნაწილი შესაძლოა განთავსებული იყოს მხოლოდ რესურს ოთახში, ხოლო დანარჩენებით მომარაგებული იყოს ასაკობრივი ჯგუფიც. ასევე შესაძლებელია, ხდებოდეს საჭირო მასალების გადატანა გარკვეული მასალები და აღჭურვილობა გაყვეს ბავშვს თანატოლთა ჯგუფში შესვლის დროს.

დამხმარე ტექნოლოგიები და მოწყობილობები

1. მაგიდის სანათები სხვადასხვა ნათებით და სინათლის რეგულირებით;
2. ციფრული გამადიდებელი საშუალება, - როგორც პორტატული, ასევე სამაგიდო (Video Magnifier, Desktop CCTV);
3. ლუპა ნათურით და ნათურის გარეშე.

მასალა ვიზუალური სტიმულირებისთვის

1. ტაბლეტი და ან ციფრული ფოტოჩარჩო (Digital Photo Frame);
2. სპეციალური ხალიჩა მცირემხედველი ბავშვების ვიზუალური სტიმულირებისთვის ან/და ერთი მკვეთრი ფერის ხალიჩა;
3. ვიზუალური სტიმულირების მასალა - სხვადასხვა ფერადი მანათობელი ლენტები და სანათები.

მასალა სმენითი უნარების განვითარებისთვის

1. ზარიანი ბურთები, სხვადასხვა ფორმის
2. კონტეინერები სხვადასხვა შიგთავსით (მარცვლეული, კენჭები, ფქვილი და სხვა; შესაძლებელია ხელით დამზადებაც);
3. სასურველია ბინაურალური აუდიოჩანაწერების მოწყობილობა და დიდი ყურსასმენები იმ შემთხვევაში, თუ გაფართოებული მხარდაჭერის გუნდის რომელიმე სპეციალისტს ექნება ბინაურალური ჩანაწერების გაკეთების და საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოყენების გამოცდილება.

მასალა მსხვილი მოტორიკის, ვესტიბურული სფეროს და სივრცითი ორიენტაციისთვის

1. ოთახის საქანელა და სხვადასხვა ვესტიბულური მოწყობილობები
2. სხვადასხვა ზომის ვესტიბულური ბურთი
3. ჰულაჰუპი
4. სახტუნაო
5. წყლის ლეიბი ან წყლის პუფი
6. იატაკის სპორტული ლეიბი ან ნებისმიერი ტიპის საგები, რომელშიც შესაძლებელი იქნება ბავშვის გადახვევა
7. რამდენიმე ზომის თეთრი ხელჯოხი სხვადასხვა დაბოლოებით ან რეგულირებადი ზომის თეთრი ხელჯოხი, რომელსაც რამდენიმე ტიპის დაბოლოება ერგება
8. ვიბრირებადი სათამაშოები

მასალა ნატიფი მოტორიკის და ტაქტილური აღქმისთვის

1. სხვადასხვა ფერის და სხვადასხვა ზედაპირის ბურთები (ფუმფულა ბეწვიანი, ხორკლიანი, პრიალა, რბილი...)
2. ქვიშის მაგიდა
3. სხვადასხვა ზომის და ფორმის მოზაიკა
4. ასაწყობი მძივები და განსხვავებული ფერის, ფორმის და ზომის ბურთულები
5. ოკუპაციური დაფები ფუნქციურ უნარებზე სამუშაოდ, ე.წ. „ბიზიბორდები“ სხვადასხვა ტიპის შესაკრავებით, ჩამრთველებით, სახელურებით და სხვა
6. კენჭები და ნიჟარები, სხვადსხვა მარცვლეული და პარკოსნები (ბრინჯი, წიწიბურა, ლობიო, ბარდა და სხვა)
7. სხვადასხვა სისქის და სიგრძის თოკები

მასალა აზროვნების და კოგნიტური სქემების განვითარებისათვის

1. სხვადასხვა ტიპის პირამიდა
2. „მატრიოშკას ტიპის“ ერთმანეთში ჩასასმელი პატარა კასრები ან კონტეინერები
3. „მხიარული მთების“ ტიპის სამაგიდო სათამაშოები აცმული რგოლებით
4. მარტივი, რამდენიმენაწილიანი ფაზლები როგორც იატაკის, ასევე სამაგიდო (სხვადასხვა თემატიკის, მაგ: ადამიანი, ცხოველი, ხილი, ბოსტნეული და ა.შ)პატერნის სათამაშოები, სადაც ერთი დეტალი მის მსგავს პატერნს უნდა მიუსადაგო
    1. სხვადასხვა ფაქტურის (სილიკონის, საძერწის, რეზინის ხილი) და ბოსტნეული, მაქსიმალურად ბუნებრივიფერით და ფაქტურით
    2. ოთახის ან სახლის ფორმის მაკეტი, ზედმეტად გადატვირთული დეტალების გარეშე

წიგნიერების წინარე უნარების, წერის და კითხვის ურგენტული უნარების განვითარებისთვის

1. ქართული ასოების და ციფრების ფორმები, სასურველია რამდენიმე ნაკრები, რათა შესაძლებელი იყოს ერთი და იმავე ასოების შემადგენლობით სიტყვების (ძირითადად ბავშვის სახელის) შედგენა
2. მინიმალისტურად ილუსტრირებული წიგნები მარტივი ნახატებით ვიზუალური გადატვირთვის გარეშე
3. ხმოვანი წიგნები

4. სიუჟეტური ბარათები მარტივი გამოსახულებით და დიდი კონტრასტით
5. ბარათები მარტივი ვიზუალური გამოსახულებებით და დიდი კონტრასტით (ცხოველები, ფრინველები, ხილი, სხეულის ნაწილები)
6. დაფა ტაქტილური ხატვისთვის, უმელნო სახატავი ფანქარი ტაქტილური ხატვისთვის და სპეციალური ფოლიეები
7. სქელწვერიანი ფლომასტერები და მარკერები

ბრაილის შრიფტის სწავლის წინარეუნარების განვითარებისთვის

1. ბრაილის წარწერების გასაკეთებელი წებოვანი ლენტები და საწერი მოწყობილობა (Braille Labler)
2. ბრაილის საწერი მოწყობილობა - ბრაილერი და ბრაილის საწერი ფურცლები
3. ბრაილის თოჯინა
4. ბრაილის სასწავლი სხვადასხვა სათამაშო
5. თერმოფორმირების მოწყობილობა სათანადო ფურცლებით

არითმეტიკის წინარეუნარების განვითარებისთვის

1. გეომეტრიული ფიგურების დაფა (რომელზეც ფორმები ეწებება მაგნიტით, „ფხრიწით“ ან სხვა გზით)
2. სხვადასხვა ფერის, ფაქტურის და ფორმის მარტივი გეომეტრიული ფიგურები
3. ჩხირები არითმეტიკისთვის

ნარჩენი მხედველობის სტიმულირებისთვის

1. ე.წ. ლაითბოქსი სამუშაო მასალებით
2. შავ-თეთრი დასაფენი მინ. ერთი მეტრი სიგრძის (კვადრატული ფორმის)
3. ულტრაიისფერი ფანარი ან უფრო დიდი სინათლის წყარო
4. მინიპროექტორი ვიზუალური სტიმულირების აქტივობების ჩასატარებლად
5. თვალის მიდევნების სათამაშოები (ლაბირინთის ტიპის, რომელშიც ბურთს ან სათამაშოს უნდა მიადევნო თვალი)
6. ციმციმა სათამაშოები (რომლებიც მხოლოდ ანათებენ და არა აქვთ ხმა)
7. ნეონის ფერებიანი მასალები (ფურცლები, ნაჭრები და სხვა) ხელნაკეთი მასალების დასამზადებლად

8. წებოვანი ფერადი ფურცლები (სხვადასხვა ზედაპირით: პრიალა, მბზინავი, ბრჭყვიალა, ხორკლიანი და სხვა)

მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვთა სასკოლო მზაობის პროგრამის გაფართოებული მხარდაჭერის პერსონალი

გაფართოებული მხარდაჭერის მომსახურების ფარგლებში საჭიროა ბავშვთან მუშაობდეს რამდენიმე სპეციალისტი. მათ მიერ თითოეულ ბავშვთან განხორციელებული აქტივობები, მათი ხანგრძლივობა და სიხშირე განსაზღვრული უნდა იყოს ამა თუ იმ ბავშვის ინდივიდუალური განრიგით. ამასთან, მუშაობის პროცესში სპეციალისტები აქტიურად უნდა თანამშრომლობდნენ ბავშვების მშობლებთან, ბავშვის სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი ჯგუფის პედაგოგ-აღმზრდელებთან და ერთმანეთთან. გაფართოებული მხარდაჭერის გუნდში უნდა მუშაობდეს: ფსიქოლოგი, სპეციალური პედაგოგი ან ადრეული ჩარევის სპეციალისტი, ოკუპაციური თერაპევტი, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის სპეციალისტი, ოპტომეტრისტი/ოფთალმოლოგი, საჭიროების შემთხვევაში, მეტყველების თერაპევტი და ასისტენტი. აღნიშნული სპეციალისტები ბავშვთან მუშაობენ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ამ დოკუმენტით განსაზღვრული სამუშაო აღწერის მიხედვით და ასევე, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ადმინისტრაციის დავალებით. მათ შორის, ბავშვის ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინებით, ეს სპეციალისტები შეჰყვებიან ბავშვს ჯგუფშიც, ხელს უწყობენ მის ჩართვას ჯგუფის საერთო აქტივობებში და ზოგადად, უწევენ მას ასისტირებას. ზოგ შემთხვევაში მრავალი დარღვევის მქონე უსინათლო ან მცირემხედველ ბავშვს შესაძლოა დასჭირდეს დამატებით ასისტენტიც, რომელიც ინდივიდუალურად უნდა მუშაობდეს მასთან და უწევდეს მას მხარდაჭერას მთელი იმ დროის განმავლობაში, სანამ იგი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში იქნება.

მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვის პორტფოლიო უნდა მოიცავდეს გაფართოებული მხარდაჭერის ფარგლებში განსაზღვრულ მიზნებსა და აქტივობებს, რომლებიც ეფუძნება შემდეგს:

- ✓ სასკოლო მზაობის პროგრამა ,,თამაში“ სწავლისა და განვითარებისთვის';
- ✓ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტი;
- ✓ მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვების სასკოლო მზაობის პროგრამის გაფართოებული მხარდაჭერის გზამკვლევი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში;
- ✓ გაფართოებული მხარდაჭერის გუნდის მიერ ჩატარებული შეფასების შედეგები;
- ✓ ბავშვის ფუნქციური მხედველობის შეფასების შედეგები.

გაფართოებული მხარდაჭერის გუნდის სპეციალისტი (სპეციალური პედაგოგი, ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერი, მეტყველების თერაპევტი) საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა ბავშვს თან ახლდეს ჯგუფური აქტივობების განხორციელებისას და გაუწიოს მას ასისტირება საგანმანათლებლო პროცესებში მაქსიმალურად ჩართვის მიზნით.

გარდა ამისა, აღნიშნული სპეციალისტები კონსულტირებას უწევენ ჯგუფის აღმზრდელ-პედაგოგებს აქტივობების იმგვარად დაგეგმვაში, რომ მასში ეფექტიანად ჩართვა შეძლოს ყველა ბავშვმა.

მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვთა სასკოლო მზაობის პროგრამის გაფართოებული მხარდაჭერის უზრუნველყოფისათვის საჭიროა ჩამოთვლილი პერსონალი:

- ✓ სპეციალური პედაგოგი ან ადრეული ჩარევის სპეციალისტი
- ✓ ფსიქოლოგი
- ✓ ოკუპაციური თერაპევტი
- ✓ სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის სპეციალისტი
- ✓ ოფთალმოლოგი/ოპტომეტრისტი/ორთოპტისტი
- ✓ ასისტენტი (საჭიროების შემთხვევაში)
- ✓ მეტყველების თერაპევტი (საჭიროების შემთხვევაში)

მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვთა სასკოლო მზაობის პროგრამის მომსახურების უზრუნველსაყოფად ზემოაღნიშნული პერსონალი უნდა აკმაყოფილებდეს კონკრეტული პოზიციის შესაბამის კომპეტენციებს, საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და სამუშაო პასუხისმგებლობებს.

შენიშვნა: „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ კანონის 28-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულია თითოეული მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტის დადგენა; შესაბამისად, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვთა გაფართოებულ მხარდაჭერაში ჩართული პერსონალი გარდა ცალკეული პოზიციისთვის განსაზღვრული კომპეტენციებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა, უნდა აკმაყოფილებდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით განსაზღვრულ ზოგად პროფესიულ სტანდარტებსაც.

სპეციალური პედაგოგი

სამუშაოს აღწერილობა:

- გაფართოებული მხარდაჭერის გუნდის სხვა სპეციალისტებთან ერთად მონაწილეობს ბავშვის განვითარებასთან და განათლებასთან დაკავშირებული საჭიროების შეფასების პროცესში; აფასებს მის წინააკადემიურ უნარებს და სხვადასხვა სფეროს მიხედვით ადგენს ბავშვის აქტუალური და

უახლოესი განვითარების დონეებს, რისთვისაც სხვა მეთოდებთან ერთად იყენებს დაკვირვების განსხვავებულ ფორმაებს;

- საჭიროების შემთხვევაში სხვა სპეციალისტებთან თანამშრომლობით ისახავს მიზნებს და განსაზღვრავს მისაღწევ შედეგებს, ახორციელებს მონიტორინგს;
- დამოუკიდებლად ამზადებს ან მონაწილეობს საგანმანათლებლო-განმავითარებელი მასალების მომზადებაში;
- წინასასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი ჯგუფის აღმზრდელებთან/პედაგოგებთან და გაფართოებული მხარდაჭერის გუნდის სხვა სპეციალისტებთან თანამშრომლობით საგანმანათლებლო წლის/სემესტრის დასაწყისში შეიმუშავებს საგანმანათლებლო პროგრამებს და განსაზღვრავს ბავშვთა სამუშაო სამიზნე კომპეტენციებსა და თემებს;
- მონაწილეობს ბავშვის პორტფოლიოს წარმოებაში;
- პასუხისმგებელია მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვებთან ინდივიდუალური პროცესის დაგეგმვასა და ჩატარებაზე. ყოველი საგანმანათლებლო პროცესისთვის ადგენს დეტალურ გეგმას.
- ეხმარება აღმზრდელ-პედაგოგს მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვების საერთო პროგრამულ აქტივობებში ჩართვაში. ესწრება ჯგუფში მიმდინარე აქტივობებს და გამოვლენილი საჭიროებების საპასუხოდ შეიმუშავებს რეკომენდაციებს პროცესში ბავშვის ჩართულობის გაზრდასა და გარემოს მორგებასთან (ფიზიკური სივრცე, განთავსება, განათლება და სხვა) დაკავშირებით.
- კონსულტირებას უწევს და საჭიროების შემთხვევაში საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ატარებს ტრენინგს მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვთა განვითარების ხელშეწყობის საკითხებზე დაწესებულების პერსონალისა და მშობლებისთვის.
- პერიოდულად გეგმავს და ატარებს ერთობლივ აქტივობებს (შედარებით მცირე ჯგუფებში) მხედველობის დარღვევის მქონე და მხედველობის მქონე მათ თანატოლებთან;
- აქვს რეგულარული კომუნიკაცია ბავშვების მშობლებთან და აწვდის მათ ინფორმაციას საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებული სხვა საკითხების შესახებ;
- ხელს უწყობს მშობლების გაძლიერებას ბავშვების განვითარების ხელშეწყობის სტრატეგიების გამოყენებისა და სახლის გარემოში ბავშვის მხარდაჭერის მიმართულებით;
- მონაწილეობს მშობლებთან გამართულ საინფორმაციო/საკონსულტაციო და დაწესებულების სხვა ერთობლივ სამუშაო შეხვედრებში;
- აანალიზებს სხვა სპეციალისტების მიერ მიწოდებული ბავშვთან დაკავშირებულ კონკრეტულ ინფორმაციას და იყენებს აღნიშნული ანალიზის შედეგებს ბავშვის განათლებისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით;
- აფასებს ბავშვის ფუნქციურ მხედველობას ან მონაწილეობს შეფასების პროცესში;

- ბავშვის საჭიროების მიხედვით ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის მოდიფიკაციას;
- მონაწილეობს ბავშვის ინდივიდუალური პორტფოლიოს შედგენაში სხვა სპეციალისტებთან ერთად.

პროფესიული კომპეტენციები:

- იცნობს მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვების განვითარებისა და განათლების თავისებურებებს;
- შეუძლია მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვის კოგნიტური, წინააკადემიური და განვითარებასთან დაკავშირებული სხვა საჭიროებების განსაზღვრა და შესაბამისი მეთოდოლოგიისა და სტრატეგიების გამოყენებით ეფექტიანი მხარდაჭერის გაწევა;
- იცნობს სასკოლო მზაობის პროგრამას „თამაში“ და შეუძლია მისი მორგება მხედველობის დარღვევის მქონე თითოეულ ბავშვზე;
- მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვების საჭიროებების გათვალისწინებით შეუძლია საგანმანათლებლო გარემოს მორგებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება;
- იცნობს მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვთან კომუნიკაციის თავისებურებებს;
- იცნობს მცირემხედველი ბავშვის მხედველობის სტიმულირების ძირითად პრინციპებს და შეუძლია შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა;
- შეუძლია ფუნქციური მხედველობის შეფასება.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

უმაღლესი განათლება:

ინკლუზიური ან სპეციალური განათლების სპეციალობით ან დაწყებითი განათლების პედაგოგიკის, ან ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიის, ან განვითარების ფსიქოლოგიის, ან კლინიკური ფსიქოლოგიის, ან ნეიროფსიქოლოგიის, ან განათლების ფსიქოლოგიის, ან ოკუპაციური თერაპიის ან სოციალური სამუშაოს სპეციალობით და გადამზადება მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვთა ადრეული ხელშეწყობის მიმართულებით, დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტით;

ან

მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის, ადრეული ხელშეწყობის, განვითარების ან განათლების სფეროში მუშაობის არანაკლებ 2-წლიანი გამოცდილება, დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტით;

და

- მხედველობის დარღვევის მქონე პირთა განვითარების, ადრეული ხელშეწყობის, რეაბილიტაციის და განათლების სფეროში მიღებული განათლება ან გადამზადება, დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტით;

ფსიქოლოგი

სამუშაოს აღწერილობა:

- აფასებს ბავშვის კოგნიტურ, ემოციურ-სოციალურ უნარებს და აღნიშნულ სფეროებთან დაკავშირებულ საჭიროებებს. საჭიროების შემთხვევაში იყენებს დაკვირვების სხვადასხვა ფორმას;
- ბავშვის საჭიროების მიხედვით ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის მოდიფიკაციას;
- მონაწილეობს ბავშვისთვის ინდივიდუალური მიზნების დასახვასა და მისაღწევი შედეგების განსაზღვრაში, ახორციელებს მათი შესრულების მონიტორინგს;
- დამოუკიდებლად ამზადებს ან მონაწილეობს საგანმანათლებლო-განმავითარებელი მასალების დამზადებაში;
- პროფესიულ მხარდაჭერას უწევს მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვის განათლებაში ჩართულ პერსონალს, სხვა სპეციალისტებსა და მშობლებს ბავშვის კოგნიტური, ემოციური და სოციალური განვითარების ხელშეწყობის მიზნით. აკვირდება მიმდინარე აქტივობებს და გამოვლენილი საჭიროებების საპასუხოდ შეიმუშავებს რეკომენდაციებს პროცესში ბავშვის ჩართულობის გაზრდასთან დაკავშირებით;
- საჭიროების შემთხვევაში ეხმარება აღმზრდელ-პედაგოგს, აღმზრდელს და სპეციალურ პედაგოგს მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვებისთვის საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვაში;
- საჭიროების შემთხვევაში გეგმავს და ატარებს ინდივიდუალურ და ჯგუფურ აქტივობებს კოგნიტური, წინააკადემიური და სოციალურ-ემოციური განვითარების ხელშეწყობის მიზნით;
- მონაწილეობს ბავშვის პორტფოლიოს წარმოებაში;
- კონსულტირებას უწევს და საჭიროების შემთხვევაში საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ატარებს ტრენინგს მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვთა განვითარების ხელშეწყობის საკითხებზე დაწესებულების პერსონალისა და მშობლებისთვის;
- ზრუნავს მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვთა თვითიდენტობის ჩამოყალიბებაზე და ხელს უწყობს ამ ბავშვების პოზიტიური ურთიერთობების ფორმირებას როგორც ერთმანეთთან, ასევე მხედველობის მქონე თავიანთ თანატოლებთან;
- სხვადასხვა ღონისძიების საშუალებით შეაქვს წვლილი დაწესებულების თემში ინკლუზიური კულტურის ჩამოყალიბებასა და მხედველობის დარღვევისა და დამოუკიდებელი ცხოვრების უნარების შესახებ ცნობიერების ამაღლებაში;

- მონაწილეობს მშობლებთან გამართულ საინფორმაციო/საკონსულტაციო და დაწესებულების სხვა ერთობლივ სამუშაო შეხვედრებში;
- სხვა სპეციალისტებთან ერთად მონაწილეობს ბავშვის ინდივიდუალური პორტფოლიოს შედგენაში.
- ზრუნავს და ხელს უწყობს მთელი დაწესებულების მასშტაბით ინკლუზიური გარემოს ჩამოყალიბებას და სტიგმის დაძლევას.

პროფესიული კომპეტენციები:

- ფლობს ცოდნას ზოგადად ბავშვის განვითარების თავისებურებების შესახებ;
- ფლობს ცოდნას მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვის განვითარებასთან დაკავშირებული თავისებურებებისა და საჭიროებების შესახებ;
- ფლობს ცოდნას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა განვითარების და განათლების ხელშემწყობი სტრატეგიების შესახებ;
- შეუძლია მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვების კოგნიტური, ემოციური და სოციალური უნარების შეფასება, საჭიროებების განსაზღვრა და ბავშვის განვითარების ხელშეწყობა შესაბამისი სტრატეგიებისა და მიდგომების გამოყენებით;
- ფლობს პროფესიულ ცოდნას ინდივიდუალური განვითარების გეგმის შემუშავების შესახებ;
- იცნობს მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვთან კომუნიკაციის თავისებურებებს;
- ფლობს ინფორმაციას სტიგმის დაძლევის სტრატეგიების შესახებ.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიის, ან განვითარების ფსიქოლოგიის, ან კლინიკური ფსიქოლოგიის,ან განათლების ფსიქოლოგიის, ან ნეიროფსიქოლოგიის სპეციალიზაციით;

  და
- მხედველობის დარღვევის მქონე პირთა განვითარების, ადრეული ხელშეწყობის, რეაბილიტაციის ან განათლების სფეროში:
  - მუშაობის არანაკლებ 2-წლიანიგამოცდილება, დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტით და/ან
  - განათლება/გადამზადება, რომელიც მოიცავს პრაქტიკის კომპონენტსაც, დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტით.

ოკუპაციური თერაპევტი

სამუშაოს აღწერილობა:

- მონაწილეობს ბავშვის უნარების შეფასებაში და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შეფასების შედეგებს უზიარებს ბავშვთან მომუშავე სპეციალისტებს;
- ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის მოდიფიკაციას ბავშვის საჭიროების მიხედვით, მონაცემთა შეგროვების მიზნით იყენებს დაკვირვების სხვადასხვა ფორმას;
- მონაწილეობს ბავშვის განვითარების პროცესის მონიტორინგში;
- დამოუკიდებლად ამზადებს ან მონაწილეობს საგანმანათლებლო-განმავითარებელი მასალების მომზადებაში;
- აქვს აქტიური კომუნიკაცია მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვის მშობელთან/მზრუნველთან ბავშვის განვითარების თავისებურებების შესახებ;
- მუშაობს ბავშვთან საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში;
- მონაწილეობს ბავშვის პორტფოლიოს წარმოებაში;
- ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებასა და სახლის გარემოში ახდენს დაკვირვებას როგორც ფიზიკურ გარემოზე, ასევე აქტივობებსა და პროცესებზე, აფასებს საჭიროებებს, ახორციელებს ცვლილებებს ან გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს (შესაძლოა საჭირო გახდეს ვიზიტი სახლში);
- კონსულტირებას უწევს და საჭიროების შემთხვევაში საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ატარებს ტრენინგს მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვთა განვითარების ხელშეწყობის საკითხებზე დაწესებულების პერსონალისა და მშობლებისთვის;
- მონაწილეობს რეგულარულ შეხვედრებში მშობლებთან და აწვდის მათ ინფორმაციას ბავშვის შესახებ.

პროფესიული კომპეტენციები:

- იცის მცირემხედველი ბავშვის მხედველობის სტიმულაციის ძირითადი პრინციპები და მეთოდები;
- იცის მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვის ადრეული და სკოლამდელი ხელშეწყობის პრინციპები;
- იცის დამოუკიდებელი ცხოვრების ფილოსოფიის თეორიული საფუძვლები და იზიარებს ძირითად პრინციპებს, ზედმიწევნით მაღალ დონეზე იცის დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის პრინციპები;
- შეუძლია ფუნქციური უნარების შეფასება;

- შეუძლია მოტორული/ფუნქციური/საყოფაცხოვრებო/დამოუკიდებელი ცხოვრების უნარების განვითარების ხელშემწყობი აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება;
- შეუძლია ფიზიკური გარემოს შეფასება, საჭიროებების გამოკვეთა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა;
- შეუძლია ეფექტური კომუნიკაციის დამყარება კოლეგებსა და მშობლებთან ბავშვის განვითარების პროცესის ხელშეწყობის მიზნით.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება ოკუპაციური თერაპევტის სპეციალობით;
- განათლება ან გადამზადება მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვთა განვითარების თავისებურებების შესახებ (ნებისმიერი სპეციალიზაცია: ადრეული ხელშეწყობა, დამოუკიდებელი ცხოვრების უნარები, საყოფაცხოვრებო უნარები, სივრცეში ორიენტაცია და მობილობა, განათლება ან რეაბილიტაცია), დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტით.

სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის სპეციალისტი

სამუშაოს აღწერილობა

- მონაწილეობს ბავშვის უნარების შეფასებაში;
- ბავშვის საჭიროების მიხედვით ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტების მოდიფიკაციას და იყენებს დაკვირვების სხვადასხვა ფორმას;
- დამოუკიდებლად ამზადებს ან მონაწილეობს საგანმანათლებლო-განმავითარებელი მასალების მომზადებაში;
- მჭიდრო კომუნიკაცია აქვს მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვის მშობელთან / მზრუნველთან;
- მუშაობს გაფართოებული მხარდაჭერის სხვა სპეციალისტებთან ერთად შეთანხმებული მუშაობის პრინციპების დაცვით.

მონაწილეობს ბავშვის პორტფოლიოს წარმოებაში;

- ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე, აფასებს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებასა და სახლის გარემოს, აქტივობებს, რესურსებს, მორგებას ან გასცემს რეკომენდაციებს საჭირო ადაპტაციის შესახებ (შესაძლოა საჭირო გახდეს ვიზიტი სახლში);
- კონსულტაციას უწევს და საჭიროების შემთხვევაში ატარებს ტრენინგს დაწესებულების პერსონალისა და მშობლებისთვის მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვთა სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის საკითხებზე;
- მონაწილეობს მშობლებთან რეგულარულ შეხვედრებში და აწვდის მათ ინფორმაციას ბავშვის შესახებ.

პროფესიული კომპეტენციები:

- იცნობს მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვთა განვითარების თავისებურებებს;
- იცნობს დამოუკიდებელი ცხოვრების უნარების სწავლების პრინციპებს, მეთოდებს და იზიარებს დამოუკიდებელი ცხოვრების ფილოსოფიას და იდეას;
- შეუძლია ბავშვის მობილობისა და სივრცეში ორიენტაციის უნარების შეფასება;
- შეუძლია სივრცითი ორიენტაციის და მობილობის უნარების განვითარების მიზნით აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება;
- შეუძლია ბავშვის ფუნქციური მხედველობის შეფასება;
- იცნობს ცნებების განვითარების ხელშეწყობის პრინციპებს და მეთოდოლოგიას;
- ზედმიწევნით სწორად ფლობს გამცილებლის ტექნიკას და უსინათლო ბავშვთან კომუნიკაციის უნარებს.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- საშუალო ზოგადი განათლება სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის სფეროში
    - საერთაშორისო სერტიფიცირებული პროგრამა

ან

    - მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის კურსის სამივე ეტაპი

ან

    - მასთან გათანაბრებული პროგრამა, დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტით

ოფთალმოლოგი (საჭიროების შემთხვევაში)[1]

პროფესიული კომპეტენციები:

- აქვს საფუძვლიანი ცოდნა მხედველობის სხვადასხვა დარღვევის შესახებ;
- შეუძლია მხედველობის დიაგნოსტირებისა და შეფასების ინსტრუმენტების გამოყენება;
- აქვს მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვთა განვითარების თავისებურებების ცოდნა;
- იცის მცირემხედველი ბავშვის მხედველობის სტიმულაციის თეორიული საფუძვლები და პრაქტიკული მეთოდები;
- შეუძლია ბავშვის ფუნქციური მხედველობის შეფასება და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა ფუნქციური მხედველობის ხელშეწყობისთვის;

[1] ოფთალმოლოგის საჭიროება განისაზღვრება მცირემხედველი ბავშვის შემთხვევაში, უსინათლო ბავშვის შემთხვევაში ოფთალმოლოგის საჭიროება არ არის.

- შეუძლია მხედველობის სტიმულირების სავარჯიშოების შერჩევა/მორგება ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად და მათი ჩატარება.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება ოფთალმოლოგიის სპეციალიზაციით
  ან
- სხვა სამედიცინო მიმართულებით _ არანაკლებ საბაკალავრო განათლებისა და ოპტომეტრის/ორთოპტისტის საკვალიფიკაციო გადამზადებაში მონაწილეობის დამადასტურებელი სერთიფიკატი

მეტყველების თერაპევტი (საჭიროების შემთხვევაში)[2]

სამუშაოს აღწერილობა:

- აფასებს ბავშვის მეტყველების განვითარებას;
- მუშაობს ბავშვთან მეტყველების განვითარების მიმართულებით;
- ბავშვის საჭიროების მიხედვით ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის მოდიფიკაციას და ამზადებს შეფასების მასალებს;
- კონსულტაციას უწევს როგორც მშობელს/მზრუნველს, ასევე დაწესებულების თანამშრომლებს;
- გეგმავს მეტყველების განვითარების ხელშეწყობის აქტივობებს როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური მუშაობისთვის;
- შეუძლია ინტერვენციის დაგეგმვა და განხორციელება ან რეკომენდაციების გაცემა ბავშვის მეტყველების განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორების აღმოსაფხვრელად და ხელშემწყობი ფაქტორების დასამკვიდრებლად;
- საჭიროების შემთხვევაში ახდენს ბავშვის გადამისამართებას ნეიროფსიქოლოგთან ან სხვა სპეციალისტთან;
- საჭიროების შემთხვევაში ატარებს ტრენინგს მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვის მეტყველების განვითარების თავისებურებების შესახებ.ან მართავს საკონსულტაციო შეხვედრებს მშობლებთან/მზრუნველებთან/დაწესებულების თანამშრომლებთან.

პროფესიული კომპეტენციები:

- ფლობს ინფორმაციას მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვთა განვითარების თავისებურებების შესახებ;

[2] მეტყველების თერაპევტის საჭიროება განისაზღვრება იმ შემთხვევაში თუ მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვს დამატებით აქვს მეტყველების განვითარების დარღვევებიც.

- ზედმიწევნით კარგად იცის მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვთა მეტყველების განვითარების თავისებურებები და ხელშეწყობის პრინციპები;
- შეუძლია მხედველობის დარღვევით განპირობებული და დამოუკიდებლად არსებული მეტყველების განვითარების დარღვევების გამიჯვნა, პრობლემის იდენტიფიცირება და შესაბამისი ინტერვენციის მეთოდის შერჩევა;
- აცნობიერებს ხელისშემშლელ ფაქტორებს მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვის მეტყველების განვითარებისთვის.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება მეტყველების თერაპიის სპეციალობით

ან

- ფსიქოლოგიის, სპეციალური განათლების ან სხვა მონათესავე პროფესიის სპეციალიზაციით და საკვალიფიკაციო კურსი/გადამზადება/სწავლება მეტყველების თერაპიაში.

ასისტენტი (საჭიროების შემთხვევაში)[3]

სამუშაოს აღწერილობა:

- საჭიროებისამებრ ასისტირებას უწევს ბავშვს ყველა პროცესში;
- ზრუნავს როგორც ბავშვის განვითარების, ასევე მისი ჩართულობის და უსაფრთხოების საკითხებზე;
- საჭიროების შემთხვევაში წინასწარ ამზადებს აუდიოკომენტარებს;
- მონაწილეობს საგანმანათლებლო-განმავითარებელი მასალების დამზადებაში;
- მონაწილეობს პორტფოლიოს შედგენაში;
- აქვს აქტიური კომუნიკაცია მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვის მშობელთან/მზრუნველთან და, საერთოდ, მასთან მომუშავე ყველა სპეციალისტთან.

პროფესიული კომპეტენციები:

- იცნობს ქცევის მართვის თეორიულ საფუძვლებს;
- იცნობს დამოუკიდებელი ცხოვრების ფილოსოფიას და იზიარებს მას;
- იცის მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვის განვითარების თავისებურებები (შესაძლოა ფლობდეს მხოლოდ ვიწროდ სპეციალიზებულ ინფორმაციას, მაგ., მხოლოდ უსინათლო ბავშვის ან მხედველობის კონკრეტული დარღვევის მახასიათებლებს - კონკრეტული ბავშვის საჭიროებებიდან გამომდინარე, რომელსაც უწევს პირად ასისტირებას);

[3] ასისტენტის საჭიროება განისაზღვრება ბავშვის საჭიროების შეფასების საფუძველზე.

- კარგად ფლობს ასისტირების სხვადასხვა მეთოდს და საჭიროებისამებრ იყენებს აუდიოაღწერას, ფიზიკურ ინტერვენციას და ხელშეწყობის სხვა ფორმებს;
- შეუძლია გუნდურად მუშაობა სხვა სპეციალისტებთან ერთად;
- შეუძლია დაამყაროს ეფექტური კომუნიკაცია მშობლებსა და თანამშრომლებთან;
- საჭიროების შემთხვევაში შეუძლია განახორციელოს სწორი ფიზიკური ინტერვენცია;
- კარგად იცნობს და ფლობს მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვის მომსახურების ეთიკურ სტანდარტებს;
- შეუძლია ბავშვის ასისტირება როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური მუშაობისას;
- შეუძლია მიიღოს სწრაფი გადაწყვეტილება და იმოქმედოს დაუყოვნებლივ საკუთარი მომსახურების ქვეშ მყოფი ბავშვის ან ირგვლივ მყოფი სხვა ბავშვების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;
- შეუძლია იმუშაოს ბავშვთან უმაღლესი ეთიკური სტანდარტების დაცვით და იზრუნოს მისი ღირსების შემლახავი ფაქტორების აღმოსაფხვრელად;

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- საშუალო ზოგადი განათლება;
- სწავლება/გადამზადება მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვის განვითარების თავისებურებების შესახებ, დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტით;
- შესაბამისი განათლება/გადამზადება ბავშვის საჭიროებიდან გამომდინარე (მაგ., თუ ბავშვს მხედველობის დარღვევასთან ერთად აქვს სმენის დარღვევა/მობილობის შეზღუდვა/ განვითარების შეფერხება, საჭირო იქნება განათლება/გადამზადება შესაბამის სფეროში).

შენიშვნა: ყველა სპეციალისტისთვის სავალდებულოა გაიაროს მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვების განვითარებისა და განათლების ხელშემწყობი სტრატეგიების გადასამზადებელი კურსი.

აღმზრდელ-პედაგოგის როლი მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვების აღზრდისა განათლების მხარდაჭერის პროცესში

სკოლამდელი განათლების უზრუნველყოფა მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვთათვის, ისევე, როგორც დანარჩენი ბავშვებისათვის, აღმზრდელ-პედაგოგისა და აღმზრდელის ძირითადი პასუხისმგებლობაა, რაც გულისხმობს იმას, რომ აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი კარგად უნდა იცნობდნენ მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვის განვითარებასთან დაკავშირებულ საჭიროებებსა და ხელშეწყობის სტრატეგიებს, ისევე, როგორც კონკრეტულ ბავშვს. სხვა სპეციალისტებთან თანამშრომლობით აღმზრდელ-პედაგოგმა თანაბარი მონაწილეობა უნდა მიიღოს ბავშვის სასკოლო

მზაობასთან დაკავშირებული საჭიროებების განსაზღვრის, ბავშვის პორტფოლიოს შედგენის (საჭიროების შემთხვევაში) და განხორციელების პროცესში.

ზემოაღნიშნული, თავის მხრივ, გულისხმობს, რომ აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი უნდა აკმაყოფილებდნენ ადგილობრივი მთავრობების მიერ დადგენილი ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების მე-4 თავის (საგანმანათლებლო პერსონალის პროფესიული სტანდარტები) მე-10 მუხლის (საგანმანათლებლო პროცესის წარმმართველი პერსონალის პროფესიული სტანდარტი) მოთხოვნებს და, ამასთანავე, აკმაყოფილებდნენ დამატებით **სამუშაო აღწერილობებს** სპეციფიკურად მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვების განათლებისა და განვითარების პროცესში:

სხვა სპეციალისტებთან თანაშრომლობით და ბავშვის შესახებ მათ მიერ მიწოდებული ინფორმაციის გათვალისწინებით იგი უზრუნველყოფს მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვის ჩართვას ერთობლივ აქტივობებში:

- სპეციალისტებს აწვდის ინფორმაციას ჯგუფში დაგეგმილი თემებისა და აქტივობების შესახებ, რომელთა გათვალისწინებაც უნდა მოხდეს როგორც ასაკობრივ ჯგუფებში ჯგუფური, ასევე დამხმარე სივრცეში (ინტეგრირებული ჯგუფი) მიმდინარე ინდივიდუალური მუშაობის დროს;
- სპეციალურ პედაგოგთან და სხვა სპეციალისტებთან ერთად გარკვეული პერიოდულობით გეგმავს და ატარებს ერთობლივ აქტივობებს;
- სპეციალისტებთან ერთად გეგმავს და მონაწილეობს ბავშვების მშობლებთან საინფორმაციო და საკონსულტაციო შეხვედრებში;
- სხვა სპეციალისტებთან თანამშრომლობით ხელს უწყობს ასაკობრივ ჯგუფში ჯანსაღი ფსიქო-სოციალური გარემოს შექმნას და მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვებსა და მათ თანატოლებს შორის პოზიტიური კომუნიკაციისა და ინტერაქციის ფორმირებას.

მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო წლის დაწყებამდე წინასწარ მოხდეს მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვის აღმზრდელ-პედაგოგისა და აღმზრდელის პროფესიული გადამზადება-გაძლიერება მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვების განვითარებისა და განათლების ხელშეწყობის მიმართულებით. აღნიშნული პროფესიული მომზადება შესაძლოა უზრუნველყოფილი იყოს როგორც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სერტიფიცირებული, ასევე სხვა ტრენინგკურსის საშუალებით, მათ შორის გაფართოებული მხარდაჭერის ხელშემწყობი სპეციალისტების რესურსების გამოყენებით. მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვთან მომუშავე აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი უნდა ფლობდნენ ცოდნას შემდეგ ძირითად საკითხებში:

- მხედველობის დარღვევის ფორმები და მხედველობის დარღვევით გამოწვეული საჭიროებები;

- მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვების განათლებისა და განვითარების ხელშემწყობი და საერთო ჯგუფურ აქტივობში მათი ჩართვის პრინციპები/სტრატეგიები;
- მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვების მობილობისა და სივრცეში ორიენტაციის უნარების განვითარება და ხელშეწყობა.